

ბ. ჩუბინაშვილი

ბოლნისების მღებარეობის საკითხისათვის

1939 წელს, სექტემბერში, ბოლნისის სიონს ვეწვიე კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების დავალებით. უნდა შემემოწმებინა იქ წარმოებული რესტავრაცია და მიმეცა რიგი საკითხების განმარტებანი. ბოლნისის სიონში ჩემმა მისვლამ და კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგის ამხ. დავით ლომიძის ყურადღებით მოპყრობამ შესაძლებლობა მომცა დამეთვალეებინა ამ კუთხის წარსულის ზოგიერთი ახლო მდებარე ძეგლები. სხვათა შორის ვნახე წარსული მოსახლეობის ადგილები, ეხლა ტყით დაფარული, ეგრეთწოდებული დემირ-სუ.

დემირ-სუ მდებარეობს ბოლნის-ჩაის (ძველად ფოლადაურის) ხეობაში. ბოლნისის სიონისა და ბოლნის-ხაჩინის ზევით. უჭირავს ფოლადაურის მარცხენა პატარა ტოტის მარჯვენა ნაპირს მომდგარი, ფართო კალთა, დაახლოვებით ხაჩინის სამხრეთ-დასავლეთით ხუთი კილომეტრის მანძილზე.

აქ ჩვენ, ცხენებით მავალთ, თვალში გვეცა ტყით დაფარული მრავალი საძირკველი დანგრეული სახლებისა. ამათ შორის დგას, ორი-სამი კილომეტრის მანძილით ერთი მეორისაგან დაშორებული, ორი სრულიად პატარა ერთნაფიანი ეკლესია. პირველი აგებულია ტლანქად მოჭრილი, უსწორმასწორო ყალიბის ქვებით და არავითარს არქიტექტურულად ან დეკორატიულად დამუშავებულ დეტალებს არ შეიცავს. მაგრამ აქვს ორი შესასვლელი, ერთი დასავლეთით, მეორე პირველის ახლოს სამხრეთ კედელში. მეორე ეკლესია უფრო მცირეა პირველზე და უფრო ტლანქია თავისი ნაგებობითა და შესრულებით. ამ ეკლესიას დასავლეთ ფასადზე, როგორც ეტყობა, უკვე აშენების დროის შემდეგ ჩართული აქვს მოჩუქურთმებული ქვები: შესასვლელის მარცხნივ ხაჩკარია ჯვრის ნახაზების უბრალო გამოსახულებით, დიდ ფოთლებ-გამობმული. ჩარჩო ხაჩკარისა ვიწროა და აგებულია ერთმანეთთან მიდგმული სამკუთხედებისაგან, ე. ი. აქ ჩარჩოსთვის აღებულია ბოლნისის მოარული დეკორატიული მოტივი. ხაჩკარის გვერდით პატარა ფრაგმენტია მწვანე ქვაზე კარგად შესრულებული ჩუქურთმისა. კარის მარჯვნივ ფრაგმენტია, მგონია, ბოლნისში გავრცელებული ტიპის ბრტყელი ქვის სტელა უნდა იყოს. იგი შეიცავს წრეში მოქცეულს ჯვარს. ამის ქვეით მოთავსებულია ნახევარწრე ყვავილის გამოსახულებით.

პირველ ეკლესიაზე დასავლეთით ჩართულია, ნაგებობის მუქფერ ქვებში სავსებით გამორჩეული კარის თავზე გადებული, ღიაფერის ბოლნისური მწვანე ქვის ლოდი ასომთავრული წარწერით. ლოდი სიმაღლით 55 სანტიმეტრია და სიგრძით 160 სანტიმეტრი. წარწერას, რვა სტრიქონის შემცველს, სიგრძეზე უჭირავს 135 სანტიმეტრი, სიმაღლეზე კიდევ 48 სანტიმეტრი წარწერის სიტყვები

ერთი მეორისაგან ვამიჯნულია სამ-სამი წერტილით; მარცვალ -და-ში ასო ანი მოთავსებულია დონის მუცელში; აქა-იქ გვხვდება ხვეულიც; არის ქარაგმებიც. მაგრამ ესენი ბევრ შემთხვევაში გამოტოვებულია. წარწერა კარგად შენახულია. წახდენილი ადგილები (თუ ასოები) არა აქვს; გამოქვეყნებული არ ყოფილა. ეს წარწერა ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მისი შემცველი ეკლესია დგას სწორედ ზემო-ბოლნისში.

მოპყავს თვით წარწერა:

1. + ნუღოც: . ზც: . ურუნოც: . იო-სოც: . კი: . კუხის: . უზანი: . დღ-ნუზ
  2. უსახზანი: . დღსუ: . დღუს: . კოდოუ: . კოდოც: . (sic) უსახზანი: . დიხ
  3. უნი: . უხუსი: . ვაჟის: . სესოც: . სუსი: . ხის: . ზც დღო
  4. დოც: . ხოც: . უსდოდღს: . ზც: . ყდოც: . უ-კოდის: . კოდისი: .
  5. ხოც: . დღსის: . დღოც: . ზც: . თხს: . ყუს: . დღს: . უნი: .
- ზციოც
6. ნი: . ყუსკოდის: . ზც: . დიხ: . დიღოღს დი: . დიხ: . (sic) სციოც
  7. სციოც: . დიხ: . სციოც: . დიხ: . სციოც: .
  8. ზციოც: . დიხ: . დიხ: .

ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისაითა მე რევისშვილმან ბოვნელ ეპისკოპოზმან იოსებ, ოდეს მოველ მეორეთ იერუსალიმით, აღვაშენე ეკლესია ყოვლადწმიდისა სახსრად სულისა ღმრისა და ცოდვათა ჩემთა შესანდობლად. და ეამთა ვითარებისაგან მოშლილი ზემო-ბოლნისი, ახოთა და თალა კელ ახლა ვიშოე, დავთარხნე კელმწიფეთაგან და არა ეთხოების რა ერთის სათათროს საორისმეტი, არა სამელიქო, არა სატარულო. დაიწერა ქორონიკონსა ტლო (339+1312=1651 წ.).

ამ წარწერით, მგონია შეიძლება დავასკვნათ, რომ იერუსალიმიდან დაბრუნებულმა ბოლნისის ეპისკოპოზმა იოსებ რევიშვილმა<sup>1</sup> ააგო აღნიშნული ეკლესია 1651 წელს აოხრებულ ზემო-ბოლნისში. თუ მივიღებთ ამ დებულებას. მაშინ, ცხადია, უკვე გამორკვეული ხდება, რომ ადგილმდებარეობა შუაბოლნისისა სიონთანაა, იქ, საცა ხაჩინია, და ამგვარად დადასტურდება ლ. მუსხელიშვილის ნაგარაუდები [1], რომ ქვემო-ბოლნისი ეხლანდელი ბოლნის-ქაფანაქია.

ამას გარდა ეს წარწერა შეიცავს კიდევ ზოგს ძვირფას ისტორიულ ცნობას, რომელიც მოითხოვს თავისთავად წარწერის გამოქვეყნებას.

ასრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი  
აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და  
მატერიალური კულტურის ინსტიტუტი  
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 11.2.1940)

<sup>1</sup> იოსებ რევიშვილი აქამომდე ცნობილი იყო 1670 წლის სიგელებიდან [2, 3] და 1677 წლის სიგელებიდან [4, 5].

Г. Н. ЧУБИНАШВИЛИ

## К ВОПРОСУ О МЕСТОПОЛОЖЕНИИ БОЛНИСИ

## Резюме

Впервые публикуемая надпись грузинскими заглавными буквами в 8 строк находится на дверной перемычке западного входа в маленькую однонефную церковку в местности, называемой сейчас Демир-су. Местоположение на расстоянии примерно в 5 км от Болнис-Хачина на юго-запад. В надписи говорится о том, что епископ болнисский Иосиф Ревишвили, вернувшись из Иерусалима в 1651 г., вновь нашел разоренные селения Земо-Болниси, Ахота и Тала, освободил их от податей и построил церковь, на которой находится надпись. Это и позволяет, мне думается, считать теперешнюю местность Демир-су сел. Земо-Болниси, местоположение которого до сих пор точно не было известно. Это в свою очередь помогает установить местоположение как Шуа-Болниси, так и Квемо-Болниси.

Грузинский Филиал АН СССР

Институт языка, истории и материальной культуры  
имени акад. Н. Я. Марра  
Тбилиси

## ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ლ. მუსხელიშვილი. ბოლნისი. ენციკის მოაზბე, III, გვ. 320, 321.
2. საქართველოს სიძველენი, ტ. I, 298—299.
3. თ. უორდანიანი. ქრონიკები, წ. II, 486—487.
4. საქართველოს სიძველენი, ტ. II, 138—139.
5. Д. Пурцеладзе. Церковные гуджары, 35.